საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10860/01
17/11/2020

10860-01-2-202011171736

შპს „ელიზის“ დირექტორს,
ბატონ ვლადიმერ ელიზბარაშვილს
მის: საქართველო, თბილისი, სოფელი დიღომი, აკ. წერეთლის ქ., №8

ბატონო ვლადიმერ,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 3 ნოემბრის N17159 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- თქვენ მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკრინინგის განცხადების შემუშავება მოხდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართის 5.1 პუნქტის შესაბამისად. ასფალტის წარმოება განეკუთვნება კოდექსის მეორე დანართის 5.3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, გარდა ამისა, დოკუმენტის სატიტულო ფურცლის თანახმად, წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში“. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას.
- სკრინინგის განცხადებაში არაა მოცემული ინფორმაცია საპროექტო საწარმოსა და მისი კომპონენტების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ; აგრეთვე არაა მოცემული ინფორმაცია საწარმოში გამოყენებული საწვავის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ასფალტის წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეულის, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის მოცულობები;
- დოკუმენტში არაა განხილული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ნადლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული გარემოზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების საკითხები;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის, აგრეთვე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ობიექტების/საქმიანობების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საწარმოს წყლით მომარაგების, საწარმოო (წარმოქმნის შემთხვევაში), სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში, ტექნოლოგიური პროცესის აღწერის ნაწილში აღნიშნულია, რომ სტაციონარული ტიპის ასფალტის ქარხნის "შემოტანა და მოწყობა მნიშვნელოვანი მოცულობის სამშენებლო სამუშაოებს საჭიროებს", ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტის მეორე ნაწილში მოცემულია, რომ „საწარმოო ობიექტების მოწყობა მნიშვნელოვანი მოცულობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული არ იქნება". შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მოცულობები;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არაა განხილული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ასფალტის ქარხნის წლიური წარმადობაა 216000 ტ/წელ (120ტ/სთ-60მ^3/სთ). 12 სთ და 300 დღიანი მუშაობის პირობებში წლიური მუშაობის დროის ფონდი შეადგენს 3600 სთ-ს". წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, აღნიშნული გრაფიკის პირობებში, საწარმოს წარმადობა იქნება წელიწადში 432000 ტონა და არა 216000 ტონა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე